ცხოვრების მიზნად სიმართლე გვქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ● №35-36 (10023) 17 სექტემბერი, 2013 წ. ● ფასი 40 თეთრი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა ოზურგეთელ მოსწავლეს, პედაგოგსა და მშობელს. თითოეულ პირველკლასელს, ვინც ახლა შეაღებს სკოლის კარებს.

წელს პირველად ყველა მოსწავლე უფასო სახელმძღვანელოს რომ მიიღებს, ეს ჩვენი ხელისუფლების პირველი ნაბიჯია.

მერწმუნეთ, საქართველოს აღმშენებლობასთან ერთად განათლების სფეროში ძირეული, სასიკეთო ცვლილებები კვლავაც იქნება, რომელსაც თითოეული თქვენთაგანი იგრძნობთ.

წარმატებული სასწავლო წელი ყოფილიყოს თქვენთვის ჩემო ძვირფასო ოზურგეთლებო!

ზვიად კვაჭანტირაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

გზა მონასტრისკენ მიიწევს

გვ-5

ძვირფასო მოსწავლეებო! პედაგოგებო, მშობლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავ ყველა პირველკლასელს, ყველა პირველკურსელს. იხარეთ და იძლიერეთ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,
ავთანდილ სურგულაძე

ოზურგეთელი ბაზიერები

გვ-6

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას!

გილოცავთ ბავშვებო ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ამ დღეს თითოეული თქვენთაგანი ახალ შემეცნებით სამყაროში შეაბიჯებთ, ამიტომ ეცადეთ ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენოთ. ჩვენი მხრიდან კი ყოველთვის გექნებათ ხელშეწყობა, რათა თქვენი საქმის ნამდვილ პროფესიონალებად ჩამოყალიბება შეძლოთ.

გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს!

კონსტანტინე შარაშენიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი,

მაღაზია „თა-ჯა-სი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. ფულაძის ქ. №10

რ

გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბი გაიხსნა

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბი ოზურგეთში გაიხსნა. როგორც „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიამ განაცხადა, შტაბს იგი უხელმძღვანელებს.

გვ-2



 გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას, ეს დღე თითოეული თქვენგანისათვის ცოდნისა და განათლების სრულფასოვნად დაუფლების საწინდარი ყოფილიყოს. გისურვებთ ნამდვილ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას და ქვეყნის მშენებლობის საქმეში თქვენი წვლილის შეტანას.

ირაკლი სირაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე,

7 დღის ამინდის პროგნოზი

17 სექტემბერი	18 სექტემბერი	19 სექტემბერი	20 სექტემბერი	21 სექტემბერი	22 სექტემბერი	23 სექტემბერი
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი
მზე +21+29	მზე, +17+28	მზე +18+29	მზე, +17+25	მზე +17+25	მზე +18+24	მზე +19+26

პრემიერი სამოქალაქო სექტორში გადადის...

ნუგზარ ასათიანი

4 სექტემბერს, "ექსპოჯორჯიას" საგამოფენო დარბაზში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს შეხვდა. პრესკონფერენციაზე ცენტრალურ მედიასაშუალებებთან ერთად რეგიონული მედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მაგრამ მცირე გამონაკლისის გარდა მათ კითხვის დასმის საშუალება არ მიეცათ. პრემიერი რეგიონულ მედიას შეპირდა, რომ სექტემბრის ბოლოს მათ ცალკე შეხვდება.

პრესკონფერენციაზე თავდაპირველად პრემიერ-მინისტრმა მოკლე შესავალი გაკეთა.

—საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს ობიექტურად და არ უნდა იქნას გამოყენებული სახელისუფლებო რესურსი. ჩვენ სწორი ხელმძღვანელობა უნდა ავირჩიოთ.

წინა ხელისუფლება სპეკულაციას ეწევა ეკონომიკურ ვარდნასთან დაკავშირებით. მათი მოღვაწეობის დროს ნაწილი სახელმწიფო ინვესტიციებისა ხორციელდებოდა ეფექტურად, სხვა დანარჩენი კი - პარლამენტის შენობა, ბათუმი თაუერი, ანაკლიის აკვაპარკი და ა.შ. შენდებოდა უხარისხოდ. იყენებდნე კერძო კომპანიების დაფინანსებებსაც. მათ 1,5 მილიარდი ამოიღეს კერძო ბიზნესიდან...

სახელმწიფოს ბევრ ბიზნესმენზე მილიონობით ვალი აქვს გასაცემი. ჩვენ უარი ვთქვით ასეთ მახინჯ მოვლენებზე და გრძელვადიანი ეკონომიკური აღორძინების გეგმა შევიმუშავეთ. კარგი იქნება ჩვენმა ოპონენტებმა ექსპერტების დონეზე გამართონ საუბარი და იყვნენ კონსტრუქციულები. მოსახლეობამაც აიღოს შესაბამისი პასუხისმგებლობა —განაცხადა პრემიერმა.

პირველი კითხვა ჟურნალისტმა ქეთევან ბოჯგუამ დასვა, თუ პრემიერის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში, ვინ იქნება მისი შემცვლელი, რაზედაც ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ იგი წარმოადგენს ღირსეულ კანდიდატს. არ იქნება კორუმპირებული ხელისუფლება და ტოვებს მინისტრებს, რომლებიც ეფექტურად მართავენ ხელისუფლებას.

პრემიერის განცხადებით, მთლიანად საზოგადოებას განვითარება სჭირდება. იგი გადადის სამოქალაქო სექტორში.

პრემიერი ასევე ფიქრობს, რომ ჯერ ცენტრში უნდა დალაგდეს სიტუაცია, შემდეგ რეგიონებში გადმოინაცვლებენ...

რაც შეხება ადგილობრივ არჩევნებს, იგი ბიძინა ივანიშვილის განცხადებით მომავალი წლის ივნის-ივლისში გაიმართება.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ნინო ბურჯანაძე ოზურგეთს სტუმრობდა

მარი კოძოევი

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ნინო ბურჯანაძე ოზურგეთს სტუმრობდა. მან ოზურგეთის საარჩევნო შტაბი ოფიციალურად გახსნა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა მოსახლეობასთან შეხვედრისას დღევანდელი პოლიტიკური ვითარება შეაფასა, საკუთარ გეგმებზე ისაუბრა და ოზურგეთელების კითხვებს უპასუხა.

ადგილობრივებთან შეხვედრისას ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პრემიერ მინისტი, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არ უნდა წავიდეს: — „თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლება და შესაძლოა ხელისუფლებაში „გალამაზებული“ „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდეს“ — თქვა მან.

აღნიშნა, რომ გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად ჩაატარებს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. — „პარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა არ შეესაბამება ხალხის ნებას. პირველი ოქტომბრის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ ვერ დაიცვა ხმები, თორემ იმ რაოდენობით ნაციონალები რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ პარლამენტში არ უნდა იყოს“. —განაცხადა ბურჯანაძემ.

პრეზიდენტობის კანდიდატი ამბობს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გართულებული. ამას დღევანდელი პოლიტიკური ვითარებით ხსნის. — „იმ რეალობაში, როცა ამჟამინდელი პრემიერ მინისტრი ამბობს, რომ პოლიტიკიდან მიდის, რომელი ინვესტორი ჩამოვა საქართველოში და დაბანდებს ფულს. დღეს სახეზე გვაქვს ეკონომიკური კლება“ — განაცხადა მან.

მოსახლეობის კითხვაზე, გაპრეზიდენტების შემთხვევაში რას გააკეთებს ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ბურჯანაძემ უპასუხა, რომ მისი პირველი ამოცანა რუსეთის ბაზარზე გასვლა იქნება. — „მე დავამყარებ კეთილ მეზობლურ ურთიერთობას რუსეთთან. მთავარია ჩვენს შორის დათბეს ურთიერთობა, თორემ ერთი-ორი ბოთლი ბორჯომის თუ სხვა სასმელის გატანა არაფერს ნიშვანს. ბევრს მაკრიტიკებენ იმის გამ,ო რომ მოსკოვში ჩავედი და პოლიტიკურ ლიდერებს შევხვდი. დიახ, ჩავედი და თუ საჭირო იქნება, კიდევ ჩავალ. რუსეთში იმიტომ ჩავედი, რომ ვიცოდე , რა შემიძლია დაგპირდეთ, რის შესრულებას შევძლებ“ — თქვა ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის თქმით, ახალი მთავრობა ვერ ახერხებს არსებული ფინანსური რესურსის სწორ და ეფექტურ გადანაწილებას: — „კარგია რომ სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ დაარიგებენ, მაგრამ ეს ნებისმიერ მოსწავლეზე არ უნდა გავრცელდეს. წიგნები უნდა დაურიგდეთ მხოლოდ მათ, ვისაც არ აქვს შეძენის საშუალება. მაგალითად, ჩემ შვილს არ ჭირდება უფასო სახელმძღვანელო. დაზოგილი ფული კი სხვა საქმეს მოხმარდებოდა. კარგია რომ გაიზარდა პენსია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ ამის გაკეთება რამდენიმე თვის წინაც შეიძლებიდა. იმიტომ რომ არჩევნებზე გითხრან პენსია ხომ მოგიმატეთო. სამაგიეროდ მინისტრების ხელფასები გაიზარდა“ — განაცხადა ბურჯანაძემ.

ასევე მან ვრცლად ისაუბრა კოჰაბიტაციაზე. მისი თქმით მიუღებელია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაცია. — „მარგველაშვილი ამბობს რომ არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დამთავრდება მაგრამ მე ამის არ მჯერა. მგონი თვითონ მარგველაშვილსაც არ სჯერა“— თქვა მან.

დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დარწმუნებულია რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს და საქართველოს პრეზიდენტი გახდება.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

გიორგი მარგველაშვილს ოზურგეთში 17 სექტემბერს ელოდებიან

გაზეთი „ალიონი

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბი ოზურგეთში გაიხსნა. როგორც „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიამ განაცხადა, შტაბს იგი უხელმძღვანელებს. „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დიმიტრი კვერღელიძე აქტივის კოორდინატორი იქნება, ხოლო ფორუმელების ადგილობრივი ლიდერი შოთა გოგიბერიძე —შეხვედრების კოორდინატორი. შტაბში შევლენ კონსერვატორული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე თეიმურაზ ბურჭულაძე და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი ბექა ფუტკარაია.

ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ არ იყო შტაბში რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძე, დარჩიამ განმარტა, რომ მიქატაძეს არ ჰქონია სურვილი შტაბში თანამდებობის დაკავების, თუმცა მზადაა საარჩევნო პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

დიმიტრი კვერღელიძემ აღნიშნა, რომ მარგველაშვილი უკონკურენტო კანდიდატია, არჩევნებში არ უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული რესურსი, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციის პროცესი 27 ოქტომბერს დამთავრდება.

ტიფო მიქატაძე ამბობს, რომ მან რამდენჯერმე განმარტა, თუ რატომ არ არის „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში და მზადყოფნას გამოთქვამს, მისი ცოდნა და გამოცდილება საარჩევნო პროცესს აქტიურად მოახმაროს.

საპრეზიდენტო, წინასაარჩევნო „პოზიცია“

მე უკვე ხანდაზმული კაცი ვარ, მაგრამ ჩემს თავს უფლებას მივცემ, საჯაროდ გამოვხატო ჩემი ღრმა რწმენა და წინასაარჩევნო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია 27 ოქტომბრის არჩევნებისადმი.

ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს იმაში, რომ მე საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ვუჭერ კოალიცია „ქართული ოცნების“კანდიდატს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს, რადგან იგი ღირსეული პიროვნებაა და იგი ბრძანდება ბატონ ბიძინა ივანიშვილისადმი მისაღები ადამიანი.

73 წლის კაცი ვარ და ამ ხნის მანძილზე არ მახსოვს, არცერთი შემთხვევა, რომ ქვეყნის სათავეში მოსულ ხელისუფლებას ასეთ მცირე დროში ჩემი ოჯახისათვის ამდენი სიკეთე მოეტანოს. მართალია ბატონი ბიძინა ივანიშვილი წინასაპარლამენტო არჩევნებისას მეტ დაპირებებს იძლეოდა, მაგრამ სააკაშვილის (იგი არასდროს ყოფილა ჩემი „პრეზიდენტი“),„ოპოზიციაში“გადასვლა თუ რას ნიშნავდა ყველასთვის ნათელი იყო.

დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჩვენს გასაცოდავებულ ქვეყანაში დაიწყება სასიკეთო ძვრები. დარწმუნებული ვარ ფეხზე დადგება და გაბრწყინდება ჩვენი სამშობლო, ქართველი ერი დაიბრუნებს იმ ღირსებებს, რომელიც ბოლო ოცი წელის დავკარგეთ. სულ მალე შვებას იგრძნობს და გაიხარებს ჩვენი ხვალინდელი იმედი, ჩვენი შვილები და შვილიშვილები. გარწმუნებთ, ღმერთი ჩვენთან არს, ხოლო ხვალინდელ დღე ჩვენს ხელშია და საბოლოდ გეტყვით, რომ

ღმერთმა მოგვცა ბოლო შანსი
არჩევნებზე კენჭი ვყაროთ,
ნუ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს
ხვალვე თავში ქვა ვიხალოთ.
ქართველებო გაიღვიძეთ
დრო დაგვიდგა აღდგომის,
სიკეთე საქართველოში
ბიძინას მხრიდან შემოდის!!!

ჯემალ კეჭაყმაძე,
შრომისა და ომის ვეტერანი.

შეხვედრა მამა თეოდორესთან

13 სექტემბერს, ოზურგეთის სახელმწიფო თაეტრში, საზოგადოება „სანთელის“ მოწვევით შემოქმედის ეპარქიის მრევლს, ოზურგეთის საზოგადოებას შეხვდა თბილისის ჯვართამაღლების ეკლესიის წინამძღვარი მამა თეოდორე (გიგნაძე).



ძლიერი ქარი ოზურგეთში

14 სექტემბერს, ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა ქარმა ქ. ოზურგეთში ელექტროგადამცემი ხაზები დაზიანა და ქალაქის ბევრ უბანს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. დაზიანდა მწვანე ნარგაობა. ძლიერმა ქარმა არაერთი ხე წააქცია.

15 სექტემბერს დილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს კოტე შარაშენიძეს დავუკავშირდით.

—დილიდანვე „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომლებთან ერთად დაზიანებულ უბნებს ვნახულობთ. მიღებულია ზომები დაზიანებების დროულად აღმოსაფხვრელად. ველოდებით ცნობებს სოფლებიდანაც. მუნიციპალიტეტის სამსახურები მობილიზებულია. —გვითხრა გამგებელმა.

ქალაქის უბნებში ელექტროენერგიის მიწოდება შუადღისას აღდგა.

გულწრფელი სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით მივესალმები და ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ყველა მუშაკს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, მათ მშობლებს. განსაკუთრებით იმათ, ვინც პირველად შეაღებს სკოლისა და უნივერსიტეტის კარებს. ბედნიერი გზით გევლოთ ცოდნის ტაძრისაკენ.

ჩემო კოლეგებო! გისურვებთ უდიდეს წარმატებებს მცოდნე, განათლებული, ზნეობრივად გაწმენდილი თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, რაც ნათელ სვეტად წააღგება თქვენს მოსწავლებს მამულის სამსახურში.

საქმიანი და წარმატებული დღეები არ მოგკლებოდეთ.

გფარავდეთ ღმერთი!

როზა გოგუაძე,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მისამართი: ქ.ოზურგეთი, აპოლონ წულაძის ქ. №13

ვულოცავთ!

პედაგოგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაცია ულოცავს გამოდნიერებას ნარეჯის საჯარო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს ნათია ჯაველიძეს.

ახალშექმნილ ოჯახს ვუსურვებთ ულევ სიხარულს, სიყვარულს და გამრავლებას.

ვულოცავთ!

გაზეთ „ალიონის“ ერთგულ მეგობარს, მეცნიერს, ქალაქის ჯოლორიცს, ავადემიკოს

არსენ კეჟაყმაძეს

დაბადებიდან 82 წლისთავს.

გაზეთ „ალიონის“

რედაქცია

უფასო პოლიტიკური რეკლამა

სამხატვრო სკოლის მოსწავლეების წარმატება

ნუგზარ ოთარიშვილი

ბოლო წლებში ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა არაერთ საერთაშორისო გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა და კარგ წარმატებებს მიაღწიეს, რაც უდაოდ ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა.

სამხატვრო სკოლის ხუთი კურსდამთავრებული სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა:

ეთუნა კონტრიძე: –პატარაობიდან მიყვარდა ხატვა. სამხატვრო სკოლაში ავთანდილ თავართქილაძე მასწავლიდა. ჩემს ნიჭს აქ გასაქანი მიეცა. ოზურგეთის №1 სკოლაში სწავლა რომ დამთავრდებოდა, ერთი სული მქონდა სამხატვრო სკოლაში მისვლამდე. ვმონაწილეობდი კონკურსებში ჩეხეთში, ბულგარეთში, საქართველოს ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში... სამხატვრო აკადემიაში ინტერიერის დიზაინერის პროფესია ავირჩიე.

ქეთი ბაჯელიძეც ავთანდილ თავართქილაძის მოსწავლე იყო. მონაწილეობდა ჩეხეთში, ჩინეთში და ქ. ბათუმში გამართულ კონკურსებში.

–ვფიქრობ გარკვეულ წარმატებას უკვე მივაღწიე. მშობლები გერმანიაში, ქ. ფრაიბურგში ცხოვრობენ, მაგრამ მე მაინც საქართველოში გადავწყვიტე სწავლა. მინის დიზაინერის პროფესია ავირჩიე. ფრაიბურგში კი სწავლის გასაგრძელებლად წავალ....

ლიკა სადრაძე – მე-3 სკოლა დავათავრე. ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში თამაზ დარჩია იყო ჩემი მასწავლებელი. ძალიან საინტერესო და მაძიებელი პიროვნებაა. სამხატვრო აკადემიაში ტექსტილის დიზაინის სპეციალობას დავეუფლები. ახალი დარგია და ვფიქრობ პერსპექტიულიც.

მარიამ მათითაიშვილმა 2 წლის წინ დაამთავრა ქ. ოზურგეთის №4 საშუალო სკოლა. ისიც თამაზ დარჩიას მოსწავლე იყო.

–ძალინ თბილი დამოკიდებულება მქონდა პედაგოგთან. ისე ექიმობა მინდოდა, მაგრამ ხატვის სიყვარულმა დამძლია. სამხატვრო აკადემიაში მოდის დიზაინის სპეციალობაზე ჩავაბარე. მოდის ფესტივალებში მივიღებ მონაწილეობას. როცა კარგი დიზაინერი გავხდები, თბილისში და მოსკოვში გამოფენებს გავმართავ...იქ ნათესავები მყავს.

ოზურგეთის სამხატვრო სკოლის კიდევ ერთი მოსწავლე **ერეკლე გორდელაძე** (მასწავლებელი ავთანდილ თავართქილაძე) სამხატვრო აკადემიაში ხის დამუშავებისა და ავეჯის დიზაინის სპეციალობის სტუდენტი გახდა.

ვულოცავთ ახალგაზრდებს წარმატებებს.

დავით ბაქრაძე სოფ. ძიმითში ამომრჩევლებს შეხვდა

ნუგზარ ასათიანი

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე სოფ. ძიმითში ამომრჩევლებს შეხვდა. შეხვედრას ადგილობრივი ამომრჩევლების გარდა ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ოზურგეთიდან, მერიიდან, თხინვალიდან, ცხემლისხიდიდან...გურიის ვიცე-გუბერნატორი პაატა მანჯგალაძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლანჩხუთისა და ოზურგეთის ორგანიზაციების თავმჯდომარეები კახა ასკურავა, მიხეილ გოგოტიშვილი...

– ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ღირებულებების დაცვა შეუძლია, როგორც იქეთ მდგომს, ისე აქეთ მდგომს, უდიდეს პარივს ვცემ. რთული პერიოდია, ბევრი რამის გადაფასება ხდება. კარგიც ხდებოდა და ცუდიც. რვა წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. სახელმწიფო შეიქმნა. პოლიცია, ჯარი, გზა. რაღაც შეგვეშალა და ვერ გავაკეთეთ. თუ აიწონება, გაკეთებული საქმე უფრო მეტია. შარშან ვერ გავზარდეთ მარჩენალდაკარგულის პენსია. ვერ გავუზარდეთ პენსია ასევე ინვალიდებს... დღეს ერთმანეთს უნდა შევეჯიბროთ კარგის კეთებაში. ჩვენს ქვეყანას უნდა გავუფრთხილდეთ, პატივი ვცეთ კანონს და საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ. ურთიერთანამშრომლობით და კონსტრუქციული კრიტიკით, ვაპირებ ვაკონტროლო საქართველოს მთავრობა –ამისათვის, რომ შესრულდეს დანაპირები თითოეული თვენთაგანის საკეთილდღეოდ,–აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

დავით ბაქრაძეს სიტყვით მიმართა ექიმმა ლევან გოგუაძემ. ხოლო ნოდარ ჩხაიძემ თხილის დაბალ ფასზე გამოთქვა გულისტკივილი.

დავით ბაქრაძე გზად სოფ. დვაბზუში შეჩერდა. მას აქ ბლიც-შეხვედრა ჰქონდა. ხოლო შემდეგ ქ. ოზურგეთში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის პრეზენტაცია გამართა.

ბავშვებით და სკოლით ხარობ

სოფ. შრომის საჯარო სკოლის დირექტორს ქ-ნ რუსუდან ცეცხლაძეს

ყოველ დილით მიუყვები
ორღობეს და შარა-გზას,
ქალი კდემით მოსილი და
მოკაზმული ლამაზად.
დედაენის ხიბლს, სიყვარულს
აზიარებ პატარებს,
მასწავლებლის წმინდა სახელს
ღირსეულად ატარებ.
ყველა ხერხს და მეთოდს ხმარობ,
სწავლა-აღზრდას რაც უნდა.
ბავშვებით და სკოლით ხარობ
ქალბატონო რუსუდან.
მთელ თქვენს ცოდნა, ენერგიას
აღზრდის საქმეს ახარჯავ,
დგახარ სკოლის წინამძღოლი
სწავლა-აღზრდის დარაჯად.
კარგად მიგყავს სკოლის საქმე,
დაბრკოლებაც გინახავს,
სხვისთვის მუდამ ღიმილს აფრქვევ,
დარდს კი გულში ინახავ.
არ ვპირფერობ, არ მინახავს
ქალი თქვენებრ ყოჩაღი,
შრომის სკოლა ისე გიყვარს
როგორც შენი ოჯახი.
ყოველი მხრივ შემკობილო
სიმართლის გზით მიდიხარ,
კარგი დედის, მამის შვილო,
სოფლის კოლორიტი ხარ.
წინ მიუძღვი პედკოლექტივს
და მომავალ თაობას,
დღეგრძელობა, მზეგრძელობა,
ვაშა თქვენს დიდ ქალობას.

ნოდარ დონაძე.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვუღოცავ ყველა პედაგოგს, მოსწავლეს, სტუდენტს, მშობლებს! განსაკუთრებული სიყვარულით ვუღოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას პირველკლასელებს – იხარეთ და იძღიერეთ!

თემურ მოქია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთობის“ თავმჯდომარე

55 წლის შემდეგ მშობლიურ სკოლაში

სსიპ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლას (დირექტორი მერი საბაშვილი) ბევრი საინტერესო შეხვედრა ახსოვს, მაგრამ ეს განსაკუთრებული და გამორჩეული იყო, რადგან სკოლას 55 წლის წინ კურსდამთავრებულები ეწვივნენ: დავით ლეჟავა, ელენე თავდუმაძე, მაგული სურგულაძე, ლალი სურგულაძე, თინა სურგულაძე, თამაზ სანიკიძე, მაგული კარტოზია, რეზო ცეცხლაძე, ნანი ქათამაძე, ლამზირი თავდუმაძე.

მართალია, ახლა ისე ენერგიულად ვერ აირბინეს სკოლის კიბე, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, მაგრამ გული ყველას ბავშვივით უცემდა და ჭაღარა შერეულ მეგობრებში ახლანდელთან ერთად იმ ბავშვურ სახეებსაც ხედავდნენ, რომლის მონატრებამაც კვლავ ერთად შეკრიბა.

მერხებზე იმ თანმიმდევრობით დასხდნენ, როგორც მაშინ. ერთმანეთს ძველი ცოდვებიც გაუხსენეს: თმების მოწიწკნა, კინკლაობა, დავალების გადაწერა, კარნახი. გაიხსენეს დასჯის თუ წახალისების რა მეთოდი ჰქონდა თითოელ მასწავლებელს:

— ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს, რომ იტყოდა კლასში შემოსული მასწავლებელი, მე ჩემით ვდგებოდი კუთხეშო.- გაიხსენა ერთმა.

— კარნახისთვის ხშირად ვიდექი კუთხეში, თუ იქედანაც არ ვიშლიდი კარნახს, მასწავლებელი ამბობდა:—ეტყობა დღეს გაკვეთილი ძალიან კარგად იცი.

— ნაწნავები უფრო გიხდებოდა, ვიდრე ახლანდელი ვარცხნილობაო-უთხრა ერთმა მეორეს. — რა პრობლემაა, 60 წლის იუბილეზე ნაწნავებით მოვალო.-დაამშვიდა მეგობარმა.

შეხვედრას ხიბლი ქალბატონი გუგული ძიძიგურის მოსვლამ შემატა. მხცოვანი მასწავლებელი ასაკში გატოლებულ გოგო-ბიჭებს შორის ჩადგა და თქვა: ასეთი დღეები მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი საჩუქარიაო. სიყვარულით გაიხსენეს ასევე მასწავლებლები მერი გოგუაძე და ლილი მენაბდე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ დაესწრნენ შეხვედრას.

ამ ხნის განმავლობაში მათ ბევრი მეგობარი გამოაკლდათ. გარდაცვლილი მეგობრები და მასწავლებლები გულისტკივილით მოიგონეს და პანაშვიდიც გადაუხადეს ანასეულის სამლოცველოში.

სკოლაში შეხვედრის ორგანიზება ქალბატონმა ნაზი ბაბილოძემ ითავა. სხვადასხვა ქალაქებში გაბნეული კლასელები მოიძია და ტელეფონით დაუკავშირა მეგობრებს. სამწუხაროდ ბევრთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ ქალბატონმა თინა სურგულაძემ ასაკსაც სძლია, მანძილსაც და ამწანაგებთან შესახვედრად ისრაელიდან ჩამოვიდა.

შეხვედრა რესტორან "ქალაქურში" გაგრძელდა. ემოციები თანდათან უფრო მძაფრდებოდა და ძლიერდებოდა. ხშირად ისმოდა ფრაზა: — „ახლა ამას სხვანაირად ვუყურებ". დიახ, დრომ ბევრი რამ გადააფასა, მაგრამ უცვლელი დარჩა მათი სიყვარული და მეგობრობა, ბავშვობის წლების გაუხუნარი მოგონებანი.

. დარბაზში ხალისით სავსე ახალგაზრდების გუნდი შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ ისინი სკოლის დამთავრების 15 წლის თავს აღნიშნავდნენ, მოქეიფეებმა ერთმანეთს მიულოცეს ეს საოცრად ლამაზი დღე და კეთილი სურვილები უსურვეს. ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ და თავის საფიქრალს ფიქრობდნენ.

ღმერთმა დალოცოს ყველა კურსდამთავრებული. ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მათ. მშობლიური სკოლა კი ყოველთვის მზადაა მათ სამასპინძლოდ, მითუმეტეს რომ ჩვენი სკოლა წელს იუბილარია.

ქეთევან ქადიეშვილი
დირექტორის მოადგილე

საჯარო სახოგადოება „იმედი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

„მე დავბრუნდი, რადგან ეს ჩემი თეატრია“

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ კუტალაძემ თანამდებობა ვასილ ჩიგოგიძეს გადაბარა. ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილი იყო 2 კანდიდატი: ოთარ კუტალაძე და ვასილ ჩიგოგიძე. საბოლოო ვერდიქტის შედეგად, აღნიშნული თანამდებობა ვასილ ჩიგოგიძეს ერგო, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გახლდათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, თუმცა შემდეგ მან დატოვა საქართველო და საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. საზოგადოების ნაწილს აინტერესებდა, თუ რატომ დაბრუნდა იგი კვლავ ძველ თანამდებობაზე და რას აპირებდა მომავალში, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ თეატრის ახალ სამხატვრო ხელმძღვანელს თავად გავსაუბრებოდით.

— თქვენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ იმყოფებოდით საქართველოში, რატომ გადაწყვიტეთ კვლავ დაბრუნებოდით ოზურგეთის თეატრს?

— მე, ფაქტობრივად, 10 წელი არ ვყოფილვარ საქართველოში, თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოვდიოდი. ვიყავი ლიტვაში არასამთავრობო ორგანიზაციის ლიტვისა და საქართველოს მეგობრობის თანათავმჯდომარე, ესპანური საფესტივალო გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ დღემდე, ვატარებდით ამ გაერთიანების ფარგლებში ფესტივალებს ესპანეთში, კანარის კუნძულებზე, ეგვიპტეში, საფრანგეთში... თუმცა ახლა დავიტოვე მხოლოდ ესპანეთი ივნისსა და სექტემბერში, დანარჩენი გადავაბარე სხვას. ეს რაც შეეხებოდა ჩემს მოღვაწეობას, ახლა დაბრუნებასთან დაკავშირებით ვისაუბრე,

მე არ ვაპირებდი დაბრუნებას, მხოლოდ ვიმედოვნებდი, რომ გამომსვენებდნენ თეატრის სცენიდან, ,თუმცა შემდეგ ბევრმა ფაქტორმა განაპირობა ჩემი დაბრუნება, თუნდაც ზაზა ჯინჭარაძის სურვლმა, დამედგა სპექტაკლი და დავდგი 2 წლის წინ, შემდეგ ვარსკვლავი გამიხსნეს, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო,ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ანზორ ერქომაშვილს, მამა იოანეს და საერთოდ ოზურგეთელებს. ჩემს გადაწყვეტილებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა გიგა ლორთქიფანიძის სურვილმა, მან დამიბარა და მითხრა, რომ მე არ მქონდა უფლება, ჩემს თეატრს არ დავბრუნებოდი. ეს ჩემი თეატრია, მასთან არის დაკავშირებული ჩემი ყველა წარმატება, არ მინდა ძალიან ხმამაღლა გამომივიდეს, მაგრამ მე დავბრუნდი ოზურგეთის სულიერების ასაღორძინებლად, იმიტომ, რომ ოზურგეთშია ჩემი მოდგმანახე,იმიტომ,რომ მე უკვე 61 წლის ვარ...

—რა ეტაპები იყო გასავლელი იმისთვის, რომ დაგეკავებინათ ეს თანამდებობა?

-არაფერი, ერთადერთი ჩემი თანხმობა იყო საჭირო, თეატრის მოღვაწეთა კავშირმა წარმადგინა, მას უფლება ჰქონდა 3 თეატრში წარედგინა კანდიდატი და ერთ-ერთი ვიყავი მეც, შემდეგ მე შევიმუშავე ჩემი პროგრამა, ჩატარდა კონკურსი და გავიმარჯვე.

—როგორც ცნობილია, შეიცვალა კანონი, რა ცვლილებები შევიდა მასში?

-არსებითად არაფერი შეცვლილა. კანონის მიხედვით, სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგენს დირექტორის კანდიდატურას და შემდეგ სამინისტრო ამტკიცებს, სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის ხელმძღვანელი,პასუხს აგებს ყველაფერზე, ფინანსურ, არაფინანსურ, ტექნიკურ და ა.შ საკითხებზე. როგორც აღვნიშნე, სამხატვრო ხელმძღვანელი წარადგენს დირექტორის კანდიდატურას და ასევე შეუძლია, დელეგირება გაუკეთოს მას გარკვეულ საკითხებში. ზაზა ჯინჭარაძე ჩემი გაზრდილია, მჯერა მისი, ამიტომ მე მას გავუკეთებ დელეგირებას. მართალია, მე პასუხისმგებლობა არ მეხსნება, მაგრამ ზაზა წარმართავს გარკვეულ პროცესებს, მე კი ვიზრუნებ თეატრის ხვლინდელ დღესა და 150 წლის იუბილეზე.

— თქვენ ახსენეთ, რომ გქონდათ თქვენი პროგრამა. მოკლედ რომ ისაუბროთ ძირითად პუნქტებზე.

-მოკლე პროგრამა მქონდა, სულ რაღაც 7 პუნქტიანი, მასში არ არის საუბარი კონკრეტულ სპექტაკლებსა და კონკრეტულ რეჟისორებზე. საუბარია, პირველ რიგში, ხელოვნების მატებასთან დაკავშირებით, უნდა შეიქმნას სტუდია, რომ ყოველწლიურად ნიჭიერი სტუდენტები გავგზავნოთ უნივერსიტეტში, ასევე ვეგმავ დრამატურგთა ლაბორატორიის დაარსებასაც, რათა განვავითაროთ კონტაქტები დრამატურგებთან, პერიოდულად მოვიწვევთ ქართველ და უცხოელ წარჩინებულ რეჟისორების. ასევე აუცილებელია გასტროლები ჯერ საქართველოს მასშტაბით და შემდეგ უკვე აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ურთიერთობები გერმანიის, უნგრეთის, შტუტგარტის, ვილტინისის თეატრებთან. ასევე უმნიშვნელოვანესია, მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა ფესტივალში, ამით გვექნება საშუალება ჩვენი თეატრი ისევ ისეთი ცნობილი გახდეს, როგორც ადრე იყო. ამისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ, თუმცა ხელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც უნდა გვიწყობდეს და ეკონომიკური მხარეც მოსაგვარებელია.

— თქვენ ახსენეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დღეს თეატრში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით, იყო საუბარი შენობის რესტავრაციაზე, არის თუ არა სიახლეები ამ კუთხით?

— ამაზე საუბარი არ ყოფილა, ეს ტყუილია, თუმცა მე იმედს გამოვთქვამ, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც დაეხმარებიან თეატრს, მე რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, ვივლი, რომ ოზურგეთის თეატრი გაბრწყინდეს, იმიტომ,რომ მე დასაკარგი არაფერი მაქვს.

-ხშირ შემთხვევაში, სპექტაკლების დროს , დარბაზი ცარიელია. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— ძალიან ბევრი მიზეზია, პირველ რიგში, ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ეს ყველაფერი, კიდევ ბევრმა სხვამ, რაზედაც ახლა არ ვისაუბრებ. თუ მაყურებელი არ მოდის, შენ უნდა შეძლო და მოიყვანო, ქუდი უნდა შეუგდო, რომ შეჰყვეს ქუდს ასაღებად და შემდეგ დაბა, დაფიქრო და გაუჩინო სურვილი, რომ კიდევ მოვიდეს.

— შეხვდით თუ არა დასის წარმომადგენლებს და ესაუბრეთ თუ არა მათ სამომავლო გეგმებზე?

— დიახ, მქონდა შეხვედრა დასის წარმომადგენლებთან, მე მათ გადავუხადე მადლობა ასეთი თავგანწირული შრომისთვის, მათ ფაქტობრივად უხელფასოდ უწევდათ მუშაობა, გაუსაძლის პირობებში შრომობენ დღემდე, თუმცა მათ არ დაუკარგავთ თავიანთი პროფესიონალიზმი, პირიქით, სიხარულით შეხვდნენ ახალ სეზონს და ჩვენ ერთად დავიწყებთ, ვინც გამოგვყვება, გამოვყვება, ვინც ვერ გამოგვყვება, გამოგვეთიშება და ჩვენ გავაგრძელებთ სვლას!

— რა სიახლეებს ჰპირდებით ოზურგეთელ და არა მხოლოდ ოზურგეთელ მაყურებლებს?

— მე მათ ვპირდები სულიერების დღესასწაულს, საქართველოში მყოფ და მოღვაწე საუკეთესო რეჟისორებთან ეტაპობრივად შეხვედრებს, საინტერსო მსახიობების ჩამოყვანას და ისინი ითამაშებენ ჩვენს ერთბლივ დადგმებში, ვპირდები, რომ ჩვენ ბევრი ფესტივალიდან გამარჯვებულნი დავბრუნდებით, აღდგება ოზურგეთი-ფოლკლორის ქალაქი, ოზურგეთი-ალეგრობა, ექვთიმობა. ეს არის ჩემი ცხოვრების კრედო, შეიძლება რაღაც არ გამოვიდეს, მაგრამ მე ყველანაირად ვეცდები, რომ მიზანს მივაღწიო, თუმცა ყველაფერი დაკავშირებულია ეკონომიკურ მდგომარეობასთან, სამწუხაროდ, არ ვარ მილიონერი, თორემ ამ პრობლემებს მე თავად გადავწყვეტდი, თუმცა, რა თქმა უნდა, იმედს არ ვკარგავ!

სატია ჟანიშვილი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

გზა ტაძრისკენ მიიწევს!

შპს „გზამშენი 18“

შპს „გზამშენი 18“ (უფროსი თეიმურაზ ჯახვა) ერთ-ერთი საუკეთესო საგზაო-სამშენებლო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელმაც ათეული წლების მანძილზე არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა გურიაში, რაჭაში,საქართველოს სხვა რეგიონებში.

გასული საუკუნის 80-ინი წლების ბოლოს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩოხატაური-ბახმაროს გზის მშენებლობაში და შემდეგაც ამ გზაზე არაერთი პროექტი განახორციელა. ამჟამად ოზურგეთელი მეგზევეები ბახმაროში შიდა გზების ასფალტირებაზე მუშაობენ.

ბოლო წლების პროექტებიდან შპს „გზამშენი 18“-მა შეასრულა ოზურგეთი-ბჟუჟჰესი-გომისმთის, დვაბზუ-ბახვის, მაკვანეთი-გოგიეთის, ძიმითი-მამათის, და სხვა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასეულობით მეტრი გაბიონი გაკეთდა მდ. აჭისწყლის, მდ. ბჟუჟის, სხვა მდინარეების სანაპიროებზე, ააგო რამდენიმე ხიდი და ა.შ.

შპს „გზამშენი 18“ მოვლით სამუშაოებს უტარებს საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის, ჩოხატაური-ბახმაროს, ოზურგეთი-ბჟუჟჰესი-გომისმთის, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის, შუხუთი-აცანა-მამათი-ძიმითის, ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას, ჩოხატაური ზომლეთის 225 კმ გზას.

ორი კვირის წინ „გზამშენი 18“-მა დაიწყო ლიხაური-აჭის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 3,280 კმ სიგრძის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები (სამუშაოთა მწარმოებელი ტარიელ ნანიტაშვილი). პროექტის ღირებულება 1, 161700 ლარია.

სოფ. ლიხაურის ცენტრიდან მდ. აჭისწყლის ხიდამდე ამჟამად მიმდინარეობს მოხრეშვითი სამუშაოები და პარალელურად, გზის სანაპიროზე კეთდება დამცავი გაბიონები. მდ. აწისწყლის ხიდიდან სოფ. აჭამდე კი – კლდოვანი გრუნტის დამუშავება, რათა გზა გაფართოვდეს და მოძრაობა ორმხრივი გახდეს. კაპიტალურად შეკეთდება ორი ხიდი. გზის ასფალტის სიგანე გზის პირველ მონაკვეთზე (მდ. აჭისწყლის ხიდამდე) 5,5 მეტრი იქნება, ხოლო შემდეგ მდ. აჭისწყლის ხეობის გასწვრივ 5 მეტრი. მშენებლობა 20 დეკემბერს დასრულდება.

ლიხაური-აჭის ახალი გზის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვას. სოფ. აჭში შუასაუკუნეების უნიკალური ძეგლი–წმ. გიორგის სახელობის ტაძარი მდებარეობს. ამ გზით ისარგებლებენ სოფ. ლიხაურის და აჭის 2000-ზე მეტი მცხოვრებლები.

შპს „გზამშენი 18“კიდევ ერთ ტენდერში გამოვიდა განმარჯვებული. იგი მერია-თხინვალი-შრომის გზის 2,5 კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეასრულებს. (ამ გზის მთლიანი რეაბილიტაცია 2014 წელში დასრულდება).

ᲐᲞᲗᲘᲐᲥᲘ „ᲐᲞ“ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲣᲔᲑᲐᲡ!

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ, ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ქ №12

ოზურგეთელი ბაზიერები

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოეთის სამხრეთ-დასავლეთიდან გორმაღალის მთა გადმოჰყურებს. ბუნების დიდი ქომაგის ვ.ანვერდ ცეცხლაძის ეკომუზეუმში სტუმრობისას არაერთხელ გვისაუბრია ოზურგეთელი ბაზიერების მთავარი ,,სანადირო"ადგილის შესახებ. ამ მთის ფერდობები იყო ბაზიერებისათვის ქორმიმინოს მოსანადირებელი ადგილი.

—ადგილი, სადაც თოფს არ გაისროდნენ — ასე უწოდებდნენ ამ მთას.

ჩემს ბავშვობაში ეკუნიანი მიმინოების ხილვა ყოველდღიურად გვიწევდა სკოლისაკენ მიმავალთ— იორდანე ლომთათიძის სამჭედლოსთან გავლისას ექადიაზე და ურუშაძეების ეზოსთან ჩავლისას სერის უბანში... მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

***

წელს, ფერცვალობას, უახლოეს მეგობრებთან ვ.ანვერდ ცეცხლაძესთან, საზოგადოება ,,ელკანას" წარმომადგენელ ვ.აბა ჭეიშვილთან და ოპერატორ შოთა ცხომელიძესთან ერთად აგიდაყვას ხეობის მარჯვენა მხარეს გოლიათოურში, ბაზიერების გორაკს ვესტუმრეთ. დღეს მათი შეკრების ადგილას კარავი და მემორიალური დაფები დგას. ცივი გრანიტის დაფაზე გაკრული სურათები გვამცნობს, რომ ერთ დროს ამ ადგილებს ახმიანებდნენ ცნობილი ბაზიერები ფაკო მახარაძე, ავთო და რევაზ ურუშაძეები, გიგა და მამუკა ლომთათიძეები, სულიკო და ჟორა თავართქილაძეები, შუტუ და კუსა ხავთასები, რობერტ ჟღერია, რომან ღლონტი, როინი ბაბილოძე... იმ დღეს მაგიდას ვ.აბას მამა რეზო ჭეიშვილი უძღვებოდა. არაერთი მოგონება ითქვა. გაიხსენეს, დილაადრიანად როგორ ამოდიოდა ცხენით ფერდობზე იორდანე ლომთათიძე, როგორ აწყობდა ,,კარავს,"როგორ იჭერდა მიმინოებს, ან ფაკო მახარაძე, მას თავისი წონის გამო გორმაღალას ფერდობზე ყველაზე დაბლა ჰქონდა კარავი, მაგრამ ეს სულ არ უშლიდა ხელს სხვაზე მეტი მიმინო დაეჭირა....

ბაზიერებზე მეტი ინფორმაციის მოსაწოდებლად ძმები თავართქილაძეების უმცროს დას, პროფესიით მედდას კლარა თავართქილაძეს ვესტუმრეთ.

რომან ლომინაძე (საქ. სახალხო არტისტი) , თავის ,,კურცხალთან"და ჟორა თავართქილაძე ნარდ მიმინოსთან ერთად. 1973 წ.

მცირე ექსკურსი

საქართველოში ბაზით ნადირობა, როგორც სპორტის სახეობა, ძველთაგანვე იყო ცნობილი და მჭიდროთ იყო დაკავშირებული ქართულ ადათ-წესებთან. ფეოდალურ საქართველოში ბაზით ნადირობას ბაზიერთუხუცესი ხელმძღვანელობდა, რომელიც მაღალი თანამდებობის პირად ითვლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით ,,მის ხელსა იყო სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი, ძაღლნი ტყეთა და ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა."

მიმონოს დაჭერის ლაზურ ხერხს კარგად ხსნის კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენაში" მთავარი გმირი კონსტანტინე არსაკიძე...

—რატომ ნადირობენ მწყერზე ბაზით? შევეკითხეთ ქალბატონ კლარას.

—გამოცდილი მონადირეები მწყერზე ბაზით ნადირობას ანიჭებენ უპირატესობას. ეს ხალისიანიც არის და თანაც, მიმინოთი დაჭერილი მწყერი უფრო ხარისხიანია, რადგან თორმეტ ან თექვსმეტკალიბრიანი თოფით მოკლული მწყერი ხორცს კარგავს.

—მაშინ მოგვიყვით, როგორ ამზადებდნენ მიმინოს სატყუარას?

—ოზურგეთელი ბაზიერები ძირითადად გორმაღალის ფერდობებზე იჭერდნენ მიმონოს. იქ წასვლამდე უნდა დაგვეჭირა სატყუარა ჩიტი. სატყუარად ჩიტის ორი სახეობა გამოიყენება—ბელურა და ღაჟო. გამოცდილი მონადირეები უპირატესობას ღაჟოს ანიჭებენ. განსაკუთრებით კარგია, თუ თეთრ ღაჟოს დაიჭერ. თეთრი ნათელი ფერია და მიმონო შორი მანძილიდან ამჩნევს სატყუარას.

ღაჟოს დაჭერა ასე ხდება. პატარა გალიაში კიდებენ მახრას. ღაჟო მტაცებელი ფრინველია და ცდუნებას ვერ უძლებს. ტყეეობაში მჭლე ხორცის ჭამას აჩვევენ. სანადიროდ წაყვანამდე თვალებზე ტყავის სათვალეს აწებებენ, რომ მან ცაში მონავარდე მიმონოს დანახვა ვერ შეძლოს. მიმინოს მოსანადირებლად ახალგაზრდა ღაჟოს ანიჭებენ უპირატესობას.

—როდის იხსნებოდა გორმაღალას ,,სეზონი?"

—მიმონოს მასობრივი გადაფრენა ფერისცვალების შემდეგ იწყება. ადრე წამოსული მიმინო მთებისკენ მიიწევს და მონადირეებიც გორმაღალის ფერდობებზე ხვდებოდნენ მიმინოს. მონადირეებს ტყესთან შეხამებული სამოსი ეცვათ, რათა ფრინველისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ. ყველას მისი ადგილი ჰქონდა განაწილებული და ხის ტოტებისაგან გაკეთებულ ქოხში იმალებოდნენ. იქვეა მომაგრებული შავი ძაფისაგან ნაქსოვი ბადე. ბადის შუაგულში ღაჟოა.

მონადირისათვის მიმინოს მოახლოების პირველი ნიშანი ქორების ჯგუფის გადაფრენაა. შემდეგ შორს მთის მხარეს ცაში წერტილივით რომ დაინახავ, ის მიმინოა და როგორც კი შეფრთხიალდება ღაჟო, უკვე მისი სამიზნე ხდება და გასროლილი ისარის სიწრაფით ეშვება მთიდან. იგი მარჯვნივ უხვევს და კარგმა მონადირემ უნდა მოახერხოს და მიმონოს ღაჟო არ უნდა დააზიანებინოს. მანამდე უნდა სტაცოს ხელი...

—როგორ ხდება მიმინოს მოთვინიერება?

—გორმაღალაზე თითოეული რამდენიმე მიმინოს ვიჭერდით (ათიდან 30-მდე). დაჭერის შემდეგ მიმონოს ფეხზე შუა თითს გავუსწორებდით და თვალებს ძუით ვუხვევდით. (ქვედა ქუთუთოში ნემსით გავუტარებდით ძუას და თავზე ვამაგრებდით). ეს იმისთვის კეთდება, რომ ფრინველი არ დაიმტვრეს. სახლში მოყვანისთანავე ისე ვკაზმავდით, როგორც ღაჟოს. შევაბამდით სამაჯურებს და სუფთა თოკისგან ვუკეთებდით ფეხზე მისაბმელს. მიმონო ძალზე ნებისყოფიანი ფრინველია და მისი მოთვინიერება არ არის ადვილი. მს ღამე დაძინების საშუალებას არ ვაძლევდით და ვცდილობდით ხელიდან საჭმელი აეღო, ,,საფუხარზე"(ტყავის სამაყური) დაჯდომას მიჩვეოდა. მას შემდეგ, რაც მიმინო ხელზე გადმოსახლებას მიეჩვეოდა, უკვე მოშორებული ადგილიდან ხორცის აღებას ვაჩვევდით. სანამ დავმეგობრდებოდით, გარკვეული დრო გადიოდა. (საერთოდ მოსათვიენერბლად დედალ მიმინოს ამჯობინებენ ბაზიერები). ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მიმინო მიეჩვიოს მონადირის ძაღლს, რათა ნადირობისას არ დაფრთხეს.

—როდის მიგყავდათ სანადიროდ?

—როცა დავრწმუნდებოდით მიმინო დაგვიმეგობრდა, სანადიროდ მივდიოდით. მონადირის ნიშანი, ძაღლის ყეფა და მიმინო ტყვიასავით მიფრინავს. მის მიერ დაჭერილ პირველი მწყერიდან ტვინს ვაჭმევდით, რასაც ჩაპურება, ანუ დათვალტვინება ჰქვია. ამბობენ, იმდენად გემრიელია მწყერის ტვინი, მიმინო მზადაა კვლავ წაყვეს მონადირეს მწყერზე სანადიროდ.

12-17 კგ. ხორცი სჭირდება ერთ მიმონოს, რომ გაიზამთროს. ნაზამთრალ მიმონოს ,,კაპუეტი"ჰქვია, ხოლო 2 წლის მიმინოს ,,გარკაპუეტი."

მონადირეები გორმაღალზე ქორსაც იჭერდნენ. გაწვრთნიდნენ და სილამაზის კონკურსზე წარადგენდნენ.

ჩემი ძმის, ჟორას მიერ დაჭერილი ,,პალიასტომის მიმინო" 17 ათას რუბლად შეაფასეს. ჩემი ძმები არა მარტო კარგი ბაზიერები იყვნენ, მონადირე ძაღლების გამოფენა კონკურსშიც კარგ წარმატებებს აღწევდნენ. 1966 წელს ჟორას პოინტერმა 24-ე რესპუბლიკურ გამოფენაზე მიიღო შეფასება ,,ძლიერ კარგი" და დაიკავა პირველი ადგილი.

—რა შედეგები ჰქონდათ ოზურგეთელ ბაზიერებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

—ჩვენ და ჩვენი მეზობელი ჩოხატაურელი ბაზიერები ვიყავით მთავარი მეტოქეები. მაგრები იყვნენ აფაზაზი ბაზიერები. მათ მწყერზე სანადიროდ მიმინოს ,,გასროლის" წესი ჰქონდათ.

1961 წელს სოხუმში გამართულ გამოფენა-შეჯიბრში I ადგილი დავიკავეთ. (პ. ჟორდანია, ვ. თაყაიშვილი, ლ. გუნიავა, ს. წიკლაური, ა. ურუშაძე, ა. თოხაძე, კ. თავართქილაძე). მომდევნო წელს ჩემს თეთრ მიმონოს ,,დედოფალი მიმინოს" წოდება ერგო.

ქალბატონი კლარა 1970 წელს თბილისის ,,ლოკომოტივის" სტადიონზე დამჭერ ფრინველთა მეორე რესპუბლიკურ გამოფენა-შეჯიბრს იხსენებს:

—შეჯიბრში ორი ქალი ვმონაწილეობდით, მე და ჩოხატაურელი გიული ბერძენიშვილი. ჩვენმა ფრთოსანმა მონადირეებმა კარგი შედეგი აჩვენეს. დამჭერ ფრინველთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნათ ოზურგეთელ ავთანდილ ურუშაძისა და ჩოხატაურელ დავით მგალობლიშვილის მიმინოებს. ავთანდილი საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. რაიონებს შორის პირველი ადგილი მიეკუთვნათ ოზურგეთელ ბაზიერებს (1022 ქულა). ჩოხატაურლები 1020 ქულით II ადილზე გავიდნენ. მომდევნო ადგილები აჭარელმა, მარტვილელმა და ლაჩხუთელმა ბაზიერებმა დაიკავეს.

,,საქართველოს ქალი",,,ლელო," სხვა რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები არ მაკლებდნენ ყურადღებას, მაგრამ ოზურგეთელი ბაზიერების ისტორია, ყველაზე მეტად მაინც თქვენს გაზეთშია განთავსებული.

პაჭუ ჟორდანია, ვალიკო თაყაიშვილი, კლარა თავართქილაძე;

ოზურგეთელი ბაზიერები

კლარა თავართქილაძემ 1971 წელს დაბა ჩოხატაურში გამართულ დამჭერ ფრინველთა III რესპუბლიკურ გამოფენაზე I ადგილი მოიპოვა. (გუნდურ ჩათვლაში ამჯერად მასპინძლებმა იმარჯვეს, მეორე —ოზურგეთის გუნდი იყო). ასეთივე შედეგი ჰქონდა მის გაწვრთნილ მიმინოს მომდევნო წელსაც, ქ. ბათუმში გამართულ რიგით IV და, 1973 წელს, ქ. ოზურგეთში—V რესპუბლიკურ გამოფენებზე.

ქალბატონ კლარას ამის შემდეგაც არაერთ შეჯიბრება-კონკურსში მიუღია მონაწილეობა და მაღალი შედეგი ჰქონია. 1972 წლიდან შეყვანილი იყო მსაჯთა კომისიაში. როგორც კარგი სპეციალისტი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა საავადმყოფოს კოლექტივში.

—ცუდი ის არის, რომ ოზურგეთში ბევრი ვიყავით ბაზიერები და დღეს ორიოდე მოქმედი ბაზიერიღა შემორჩა. მან გვირჩია ბიჭიკო მეფარიშვილი გვენახა.

***

ბიჭიკო მეფარიშვილი ქ. ოზურგეთში, აკაკი ბაქრაძის ქუჩაძე ცხოვრობს. მას ,,ბაზიერების მომმარაგებელს" უწოდებდნენ. საქმე ის იყო, რომ ბატონი ბიჭიკო ,,საქვაჭრობის" ხორცის საწყობში მუშაობდა და ოზურგეთელ ბაზიერებს მიმინოს გამოსაკვებად ხორცით უფასოდ ამარაგებდა.

ბატონ ბიჭიკოს მზად ჰყავს ორი ღაჟო მიმინოს მოსანადირებლად. ამ დღეებში იგი თავის მეგობარ გიზო გიორგაძესთან ერთად გორმაღალის ფერდობს ესტუმრება.

—50-მდე ვიყავით. უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ: იორდანე ლომთათიძე, სანდრო ურუშაძე, ალიოშა თოხაძე, კუკა ხავთასი, შალვა ბეშიტაიშვილი, გიზო შევარდნაძე, რომან, აივენგო გოგიბერიძეები, ფაკო მახარაძე და სხვები.

ერთ წელს ქორი მყავდა. დამჭერ ფრინველთა საველე შეჯიბრში I ადგილი ავიღე. 1976 წელს ჩემმა გაწვრთნილმა ნარდმა მიმინომ ,,ფრიადი" შეფასება მიიღო. ახლა ვინ შეძლებს მიმინოს ორი წლით შენახვას...

გორმაღალის ფერდობზე პირველი ბიუსტი ფაკო მახარაძეს დავუდგით., შემდეგ სხვა ბიუსტებიც დაიდგა...

* * *

ბუნების ქომაგი ვ.ანვერდ ცეცხლაძის აზრით, ბაზიერების გორაკი უნდა კეთილმოეწყოს, შეკეთდეს გზა, რომლითაც ტურისტებმა უნდა ისარგებლონ. მადლობა ეთქმის რევაზ ჭანუყვაძეს, რომელმაც კარვისა და მემორიალის მოსაწყობად ადგილი გამოყო. გორმაღალი ოზურგეთის ტურისტულ რუკაზე ერთ-ერთი საინტერესო ადგილი უნდა გახდეს.

„გუნდის ჯგუფიდან გავარდნა სირცხვილი, თავის მოჭრა იქნება"

მარი კოკოევი



ოზურგეთის „მერცხალისთვის" მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის სტარტი წარუმატებელი გამოდგა. გუნდმა ზედიზედ რამდენიმე ამხანაგური თამაშიც წააგო. ამის მიზეზად „მერცხალის„ მთავარი მწვრთნელი, სოსო გაგუა სუსტ ფეხბურთელებს და არასწორ მენეჯმენტს ასახელებს.

გთავაზობთ ინტერვიუს მერცხალის მთავარ მწვრთნელთან, **სოსო გაგუასთან**:

—როდის ჩაიბარეთ გუნდი?

—გუნდი ჩავიბარე წინა სეზონზე მეორე წრეში. მე მანამდე ბავშვთა მწვრთნელი ვიყავი. კარგი გუნდი მყავდა. პირველ ადგილზე ვიყავით გივი ჩოხელის თასზე. ჩოხელის თასზე ყველაზე დიდი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები თამაშობენ.

როცა ხარიტონ ჩხატარაშვილის შეცვლის საკითხი დადგა, მანვე დასახელა ჩემი კანდიდატურა. თქვა, თუ ვინმე მოკიდებს ამ საქმეს ხელს სოსო იქნებაო,. მოვიდნენ ჩემთან გუნდის ახალგაზრდა ხელმძღვანელები და მითხრეს: —დაგვიდექი გვერდში, ,შენი გამოცდილება გამოგვადგებაო. მე დავთანხმდი, თუმცა მაშინვე პირდაპირ ვუთხარი — მიზანი ვერ იქნება მიღწეული თუ არ გაძლიერდა გუნდი მეთქი.

—სუსტი ფეხბურთელები დგვხვდათ?

—არ იყვნენ სუსტები, მაგრამ თუ ჩვენ გვინდა ვთქვათ ხუთეულში მოხვედრა, რაც უკვე შედეგია, გუნდს უნდა გაძლიერება.

—გუნდიდან რომ ფეხბურთელები წავიდნენ, სუსტები იყვნენ?

—ამ ბოლოს რომ ხუთი კაცი წავიდა, იმათ შეეძლოთ თამაში. ადრეც წავიდნენ ფეხბურთელები, მაგრამ ამის მიზეზზე მე ვერ მოგახსენებთ. ახლა კი, — მაჭავარიანი, ხურციძე, ჟღენტი, ჯაყელი, კაშია. კაშია ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო. მათი წასვლის მერე ძალიან დასუსტდა გუნდი. მაგრამ მაინც მოვკიდე ხელი გუნდს, ხომ არ მივატოვებდი. მე მწვრთნელი ვარ და რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, სანამ არ მეტყვიან წადი, გუნდს ვერ დავტოვებ.

ჩვენ არ გვაქვს გუნდის გაძლიერების საშუალება. ამიტომ ვცდილობთ ხარვეზის გამოსწორებას საწვრთნელი ვარჯიშებით. თამაშებმა დაგვანახა, რომ ხარვეზის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გყავს ხარვეზის გამომსწორებელი ფეხბურთელები. ჩვენს შემთხვევაში ხარვეზი თვითონ ფეხბურთელია და თვითონ ფეხბურთელია ზოგიერთი შესაცვლელი.

მე ვარ მწვრთნელი და ვამჩნევ რომ კონკრეტული ფეხბურთელი არის სუსტი. ხომ უნდა შევცვალო ის, მაგრამ მე არ მაქვს საშუალება შევცვალო. ამიტომ ისევ მასთან ვაგრძელებ მუშაობას. ფეხბურთელებს რას ვერჩი, რაც შეუძლიათ აკეთებენ, მაგრამ მეტი არ შეუძლიათ, ამიტომ უნდა გამოცვალო და მოიყვანო სხვა. ამის საშუალება ჯერ ოზურგეთს არ აქვს. რაც გვყავს იმათთან შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ, მაქსიმალურად ვავარჯიშებთ, მაგრამ ფიზიკურად სუსტები არიან. ბევრ ვარჯიშს ვერ უძლებენ. როგორც კი გავზრდი დატვირთვას ხელი, ფეხი, ქუსლი ტკივათ. ამიტომ დატვირთვას არიდებენ თავს.

—რამდენი ფეხბურთელი გყავთ გუნდში?

გუნდში 22 ფეხბურთელი მყავს, მაგრამ არცერთი არ არის დასაყრდენი. თავიდანვე მენეჯმენტშია შეცდომა დაშვებული. რა თანხაც გვაქვს, ის უნდა გაიხარჯოს მოქნილად. თანხები რომ სწორად გადანაწილებულიყო, ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. ვარსკვლავებს ვერ მოვწყვეტდით მაგრამ ნორმალური გუნდი ვიქნებოდით. არ მინდოდა 22, საკმარისი იყო თხუთმეტი ფეხბურთელი და დაზოგილი თანხა სხვა მიმართულებით დაიხარჯებოდა. ჩვენ ვართ ერთადერთი გუნდი, რომელიც მარტო ადგილობრივებით ვთამაშობთ. ჩოხატაურში რომ ჩავედით „ზანგები" დაგვხვდა მინდორზე. სავსე იყო გუნდი ჩაყვანილი ფეხბურთელებით. ადგილობრივ ხელისუფლებასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს. რაც შესაძლებელია ჩვენი ბიუჯეტით იმას აკეთებენ. შეეშალათ ხელი და „ზბორებზე" წასვლა ვერ დაგვიფინანსეს, მაგრამ მაინც სუსტი იყო გუნდი. მე ვთქვი, —თუ გუნდის შემადგენლობა არ გავაძლიერეთ, „ზბორებიც" ტყეული ხარჯია მეთქი.

თამაშისას შეატყობ, რომ გუნდს გამოცდილი ხელი აკლია. ლიდერი უნდა ჰყავდეს გუნდს, რომელიც გადამწყვეტ მომენტში გარდატეხას შეიტანს თამაშში. ფეხბურთელები შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ, თავს დებენ, მაგრამ არ გამოსდით. თავს ზემოთ ძალა არაა. არ შეუძლიათ მეტი. რაც შეეხება მანეჯმენტს, აქ მე ვერ ჩავერევი . იგი ჩემს ფუნქციას ცდება და არავინ არ ჩამრევს. საკითხი კი დავაყენე, მაგრამ ჯერ არაფერი შეცვლილა.

— რამდენი მწვრთნელი ჰყავს გუნდს?

— ჩემს გარდა არიან მერაბ ვანიძე და კახა რუხაძე. გარდა მგისა ბავშვთა ფეხბურთს აკაკი ათუაშვილი უძღვება. ასევე, ხარიტონ ჩხატარაშვილი ბავშთა გუნდს გაწვრთნის. ჩვენ გუნდი რეგიონლიგაშიც გვყავს.

—როგორი მდგომარეობაა სტადიონზე?

—მას შემდეგ, რაც სტადიონის დირექტორად მურთაზ აბაშიძე დაინიშნა, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. რა მარტო სათამაშო მინდორი მოწესრიგდა, არამედ მთლიანად სტადიონზე შესაძლებლობის ფარგლებში ბევრი რამ გაკეთდა.

— როდის დაიწყეთ მოსამზადებელი პერიოდი?

—მოსამზადებელი პერიოდი ადრე, 12 ივნისს დავიწყეთ. ამ პერიოდში ჩავატარეთ ბევრი ამხანაგური თამაში. ამხანაგურმა თამაშებმა დაგვანახა ჩვენი სისუსტე. ამხანაგურ თამაშებზე უნდა გვესწავლა ფეხბურთი, მაგრამ არ გამოგვივიდა.

პირველი ამხანაგური თამაში ჩავატარეთ ურეკში „სუმგაითთან" წავაგეთ 0:3. მერე ვითამაშეთ ვანთან ფრე 1:1. ხულოს „მაჭახელასთანაც" ფრე ვითამაშეთ 2:2. ბათუმის „დინამოსთან" მოვიგეთ 3:2. ლანჩხუთის „გურიასთან" წავაგეთ 3:2. მერე ვითამაშეთ ვაში წავაგეთ 0:1. ჩოხატაურთან— 2:3. ფოთის „კოლხეთთან"— 1:6.

მერე დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი ფოთის კოლხეთთან წავაგეთ 0:3. სახლში ტყიბულთან— 0:2. თელავში — 1:2. ჯერ-ჯერობით ნული ქულა გვაქვს.

—შეინარჩუნებთ ადგილს პირველ ლიგაში?

—რომ მოკვდე, მაინც უნდა შეგძლო. გუნდის გავარდნა სირცხვილი, თავის მოჭრა იქნება.

ოზურგეთელ მოჭიდავეთა წარმატებები

ქ. ბათუმში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის დავით ბედინაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი მოჭიდავეები და აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის ნაკრები გუნდები.

ამ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა.

42 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ირაკლი ძიმისტარაშვილმა (ლიხაურის ფილიალი, მწვ. ალ. ბოლქვაძე);

47, 58, 63, 69 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილები დაიკავეს ლუკა ზაქარიაძემ (ალ. ბოლქვაძე); გია გიორგაძემ (გ. მაჭარაშვილი); გიორგი ბაკურაძემ (ძმები ზურაბიანები) და ბორის ტულუშმა (ალ ბოლქვაძე).

***

9-11 სექტემბერს, თურქეთის ქალაქ რიზეში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

ამ ტურნირში ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა ედუარდ ღლონტმა (85 კგ. წ.კ.) III საპრიზო ადგილი დაიკავა (მწვ. გ. მაჭარაშვილი).

სანდრო ბოლქვაძის თასზე

სოფ. თხინვალში ჩატარდა ვეტერანი ფეხბურთელის, სანდრო ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში ცალკეული უბნის გუნდებს შორის.

დაძაბულ და საინტერესო ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა პირველი უბნის ფეხბურთელებმა. მათ გარდამავალი თასი გადაეცათ.

ტურნირი „ქართული ოცნების" ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოაწყო. მათვე მინიფეხბურთის სტადიონზე გააკრეს შესაბამისი აბრა.

თურქული ენის შესასწავლად მესაჭიროება თურქული ენის სპეციალისტი, შესაბამისი ანაზღაურებით, დამიკავშირდით: (598) 84 84 82.

ჩოგბურთი

კლუბის პირველობაზე

ოზურგეთის საჩოგბურთო კორტზე ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო კლუბის პირველობა ჩოგბურთში 1996-98 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. ტურნირში 8 ვაჟი მონაწილეობდა. (მთავარი მსაჯი ი. თავართქილაძე).

ფინალში ირაკლი კაკაძე და ემზარ გაბუნია შეხვდა ერთმანეთს. სამ სეტში კაკაძემ გაიმარჯვა. (7:6, 4:6, 6:3) და გარდამავალ თასს დაეუფლა.

როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ გაზეთ „ალიონს" უთხრა, ამ დღეებში საჩოგბურთო კორტი კიდევ ერთ ტურნირს უმასპინძლებს. ამჯერად—„მოდერნის თასზე."

იცხოვრა უზადოდ და სამაგალითოდ

ნიკოლოზ ბურჭულაძე

ჭეშმარიტად ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან მზიანი კაცი, რომელსაც სიტყვისა და საქმის ერთიანობა გამოარჩევდა. ნიკოლოზ ბურჭულაძე დაუღალავი ადამიანი, დაუღალავი სიყვარულში და სიკეთის ქმნაში 1932 წლის 2 იანვარს დაიბადა. ბედმა იმთავითვე განსაცდელი მოუვლინა. მხოლოდ მონოლითური პიროვნება თუ გაუძლებდა იმ შემოტევებს, რაც ცხოვრებამ თავს დაატეხა, მაგრამ მისმა უტეხმა ნებელობამ, ცხადმა მიზანმიმართულებამ და ყოველმხრივმა ჰარმონიულობამ მიაღწევინა იმას, რომ ეღვაწა ჭეშმარიტების საწვდომად..3 წლის ასაკში მშობლები გარდაეცვალა, იზრდებოდა აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ ულამაზეს მხარეში, გაგრძელა სწავლა და სოხუმის ინსტიტუტში დაამთავრა მექანიზაციის ფაკულტეტი. უკვე ცოდნა მიღებული ვაჟკაცი სოფელ შემოქმედში იწყებს მუშაობას. ცოდნას გამოცდილებით იღრმავებს და ჯერ ბრიგადირად, შემდეგ ჩაის ფაბრიკის დირექტორად ინიშნება. განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდებში, „საქ.სოფ. ტექნიკაში", ხოლო ყველაზე ხანგრძლივი დრო შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ამ ბიოგრაფიული შტრიხების მიღმა, რჩეული და იშვიათი ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის, დიდი პიროვნული ხიბლით შემკული, დიდი ენთუზიასტის გაკეთებული საქმეები დგას. ნიკოლოზ ბურჭულაძეს აფასებდა ყველა, ვისაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მასთან ურთიერთობა ჰქონია. ამდაც ამბობენ მასზე მეგობრები, ახლობლები, უბრალოდ ნაცნობებიც კი, რომ ქართველი მამაკაცის ღირსებების მატარებელი და ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნება იყო. მისი ცხოვრების კრედო მარტივი იყო: არაფერი მოუთხოვია ადამიანებისგან იმის მეტი, რომ ისინი კეთილნი და სამართლიანნი ყოფილიყვნენ. ამისთვის იღვაწა მან, ამის ნათელ მაგალითს თავად აძლევდა ახლობლებს.

იმ დროს გამოჩნდებოდა მოყვასის დასახმარებლად, როცა მას ეს ძალიან სჭირდებოდა. ორი ქვეყნის საზღვრად იდგა და ღირსეულად განვლო მისი კუთვნილი წუთისოფელი. მის პიროვნულ თვისებებს ერწყმოდა განუმეორებელი ხიბლი მეგობრობისა. ყოველთვის სასურველი იყო მის გარემოცვაში ყოფნა, საუბარი და ქართული ტრადიციებით მდიდარ სუფრასთან მისი თანამეინახეობა.

ღმერთმა სიცოცხლე იმისთვის მოგვანიჭა, რომ იგი გამოვიყენოთ ღვთისა და მოყვასის დიდებისათვის, სიკეთის ქმნაში, სულის საცხონებლად და ირგვლივ მყოფი ადამიანების საკეთილდღეოდ, სასარგებლოდ — სწორედ ასეთი იყო ნიკოლოზ ბურჭულაძე, საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, საქვეყნო საქმის ერთგული და ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნება. იცხოვრა უზადოდ და სამაგალითოდ.

ღმერთმა გაანათლოს ,სასუფეველი დაუმკვიდროს კაცს, რომელიც დაკლდა ამ საწუთროში დარჩენილთ!

პედაგოგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაცია იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის, არაჩვეულებრივი ქალბატონის **როზა ქინქლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პედაგოგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქვედა ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგს ზინა არობელიძეს უსაყვარლესი ქალიშვილის, **ეკა ანდღულაძის** გარდაცვალების გამო.

გუგული ჩხაიძე იუწყება მასწავლებლის **ნარო დარჩიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს თემურ, ნარგიზ, როზეტა ჩხარტიშვილებს.

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მშობლებო! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს! ვილოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს!

თამაზ სალუქვაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე

ჩემო პირველკლასელებო!
გილოცავთ სამაგშვო მაღიდან სკოლაში მისვლას, გისურვებთ გესასწავლებინოთ თავი სწავლაში და ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები გამხდარიყოთ. ოზურგეთის სამაგშვო მაღების ყველა აღსაზრდელი თქვენი ღირსეული ცვლა იქნება.

მაკა ჟყონია,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის, პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს ვილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ლევან ნინიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

ჩემო ოზურგეთლებო!
გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებებს!

მერაბ მშავია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

სავაჭრო ცენტრი „მოდერნი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

(რ)

ავეჯის სახლი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გთავაზობთ საუკეთესო ხარისხის უკრაინულ და პოლონურ ყველა სახის ავეჯს. (მიიღება შეკვეთები). აქვე მზადდება მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯრები. მის. ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №5 (ტელ. 555 59 22 89, გოჩა ერქომაიშვილი).

(რ)

შპს „ვილჯიო“ გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის მეტალო-პლასმასის ჯალ-ფანჯრებს, საუკეთესო ხარისხის სამშენებლო მასალებს შელავათიან ფასებში. მის. ქ. ოზურგეთი, ნიკოლაძის ქ. №2 („წითელი სახლი“).

(რ)

ტაქსი გამოძახებით
0(496) 275544; 0790554455

(რ)

C M Y K

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3. ტელ: 558 499 100; გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004. №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“